

**კავკასიის ციფრული ქსელის
ოფერტა (მოწვევა)
პირდაპირი გაფართოებული ურთიერთჩართვის მომსახურებაზე**

ქ. თბილისი

01 აგვისტო 2009წ.

- ა) წინამდებარე ოფერტაში მოცემულია პირობები რომლითაც შპს კავკასიის ციფრული ქსელი აწარმოებს პირდაპირი გაფართოებული ურთიერთჩართვის მომსახურების მიწოდებას;
- ბ) ოფერტა ძალაში შედის 2009 წლის პირველი აგვისტოდან და მოქმედებს ერთი წლის განმავლობაში.

ერთის მხრივ შპს “კავკასიის ციფრული ქსელი” (შემდგომში “CDN”) წარმოდგენილი დირექტორის დავით თუთბერიძის სახით, ხოლო მეორეს მხრივ _____ (შემდგომში “_____”), წარმოდგენილი _____ სახით, შემდგომში ცალცალკე მოხსენიებული როგორც “მხარე”, ხოლო ერთობლივად – “მხარეები”, ვდებთ რა წინამდებარე ხელშეკრულებას, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

- 1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მხარეებს შორის პირდაპირი გაფართოებული ურთიერთჩართვა, რაც გულისხმობს თითოეული მხარის კუთვნილი ქსელის შესაბამის ელემენტებთან და ამ ქსელში განთავსებულ ყველა ინტერნეტ რესურსთან მეორე მხარის შეუზღუდავ და არადისკრიმინაციულ დაშვებას;
- 1.2 წინამდებარე ხელშეკრულებით რეგულირდება მხარეებს შორის პირდაპირი გაფართოებული ურთიერთჩართვის ყველა ორგანიზაციული, ტექნიკური, ფინანსური და სამართლებრივი საკითხი;
- 1.3 წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში მხარეებს შორის ურთიერთობის საფუძველს წარმოადგენს მხარეების წესდებები, საქართველოს კანონი “ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ”, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დადგენილებები/გადაწყვეტილებები და წინამდებარე ხელშეკრულება.

2. ურთიერთჩართვის ტექნიკური საკითხები

- 2.1 მხარეთა შორის პირდაპირი გაფართოებული ურთიერთჩართვა ხორციელდება Ethernet არხით TCP/IP პროტოკოლის გამოყენებით;
- 2.2 პირდაპირი გაფართოებული ურთიერთჩართვის წერტილად მხარეების მიერ განსაზღვრულია: ქ. თბილისი რუსთაველის №31, ცენტრალური ტელეგრაფის შენობა, მე-4 სართული, სატელეკომუნიკაციო ოპერატორების თანალოკაციის არსებული ტერიტორია;
- 2.3 პირდაპირი გაფართოებული ურთიერთჩართვის განხორციელებისათვის მხარეები გამოყოფენ ურთიერთჩართვის წერტილში შესაბამისი სიმძლავრის Ethernet პორტებს;
- 2.4 პირდაპირი გაფართოებული ურთიერთჩართვის მოცულობად მხარეები ადგენენ 100 მეგაბიტ/წმ სიმძლავრეს. (გარდა იმ კომპანიებისა, რომელთაც კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გადაწყვეტილებების თანახმად ევალებათ 1 გიგაბიტ/წმ სიმძლავრის უზრუნველყოფა);

- 2.5 პირდაპირი გაფართოებული ურთიერთჩართვის პორტების სიმძლავრის და/ან რაოდენობის გაზრდა ხორციელდება მხარეთა მიერ დასაბუთებული წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე;
- 2.6 პირდაპირი გაფართოებული ურთიერთჩართვის ეფექტური და ხარისხიანი მუშაობის უზრუნველსაყოფად მხარეები ადგენენ აღნიშნული ურთიერთჩართვის პარამეტრებს:
 - IP პაკეტების დანაკარგების დასაშვები დონე – 1%
 - პაკეტების დაყოვნების მაქსიმალური დრო – 50 მილიწამი
 - პაკეტების დაყოვნების საშუალო სტატისტიკური გადახრის საზღვრები - 40 მილიწამი
 - ტესტირების მინიმალური დრო – 1 სთ.

3. მხარეთა ვალდებულებები

მხარეები ვალდებული არიან:

- 3.1 უზრუნველყონ საკუთარი ტექნიკური საშუალებების გამართული მუშაობა ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში;
- 3.2 პირდაპირი გაფართოებული ურთიერთჩართვის ავარიულად გათიშვის შემთხვევაში უმოკლეს დროში აღადგინონ ურთიერთჩართვა და შესაძლებლობის ფარგლებში ხელი შეუწყონ ერთმანეთს ნებისმიერი ხარვეზის ან ავარიის ლიკვიდაციაში;
- 3.3 უზრუნველყონ მეორე მხარის აბონენტების შეუზღუდავი და არადისკრიმინაციული დაშვება საკუთარ ქსელში განთავსებულ ინტერნეტ რესურსებზე;
- 3.4 გამოყონ პირდაპირი გაფართოებული ურთიერთჩართვისთვის აუცილებელი პ. 2.3-ში ნაჩვენები Ethernet პორტები და უზრუნველყონ ურთიერთჩართვის არხის ჯამური გამტარუნარიანობა პ. 2.4-ის მიხედვით.

4. ინფორმაციის გაცვლა მხარეთა შორის

- 4.1 მხარეები თანხმდებიან, რომ გაცვლიან იმ ტექნიკურ და ქსელის სხვა მონაცემებს, რომლებიც საჭიროა ამ ხელშეკრულებით დადგენილი ხარისხის, ხელმისაწვდომობისა და ეფექტურობის მქონე ურთიერთჩართვის უზრუნველსაყოფად. ამასთან, ერთ-ერთი მხარის მიერ მიწოდებული ნებისმიერი სახის ტექნიკური თუ ფინანსური მონაცემი ჩაითვლება კონფიდენციალურად და არ ექვემდებარება გახმაურებას;
- 4.2 ინფორმაციის მიწოდების პერიოდულობა განისაზღვრება მხარეთა საჭიროების მიხედვით. მეორე მხარის მიერ ინფორმაციის მიწოდების შესახებ განცხადების მიღების შემთხვევაში, სათანადო ინფორმაცია უნდა გაიცეს არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა.

5. ანგარიშსწორების პირობები

- 5.1 საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გადაწყვეტილებების და ამავე კომისიის მიერ პირდაპირი გაფართოებული ურთიერთჩართვის ტარიფის 2 მეგაბიტ/წმ ექვივალენტურ სიმძლავრეზე გადათვლის მიხედვით მხარეები ადგენენ 100 მეგაბიტ/წმ გამოყოფილი პორტის ღირებულებას თვეში 500.00 ლარის ოდენობით დღგ-ს გარეშე;
- 5.2 500 მეგაბიტ/წმ-მდე ჯამური სიმძლავრის შემთხვევაში მომსახურების მიწოდება ჩაითვლება სიმეტრიულად მიუხედავად მხარეებს შორის მიღებული და გადაცემული ტრაფიკის ბალანსისა. ასეთ შემთხვევაში ანგარიშსწორება მოხდება ურთიერთგაქვითვის პრინციპით,

- კერძოდ ანგარიშ-ფაქტურების გაცვლის საფუძველზე და ურთიერთმოთხოვნათა ოდენობების გაქვითვით;
- 5.3 500 მეგაბიტ/წმ ჯამური სიმძლავრის ზემოთ, თუ რომელიმე მხარე მოითხოვს დამატებითი პორტის (პორტების) გამოყოფას მეორე მხარის ქსელში განთავსებულ ინტერნეტ რესურსებთან დაშვების მიზნით, იგი (მომთხოვნი მხარე) გადაუხდის მეორე მხარეს დამატებით გამოყოფილი პორტების ღირებულებას პ. 5.1-ში დადგენილი ტარიფის მიხედვით, ანუ თვეში 500.00 ლარს დღგ-ს გარეშე ყოველ დამატებით გამოყოფილ 100 მეგაბიტ/წმ სიმძლავრეზე;
 - 5.4 საანგარიშსწორებო თვის მომდევნო თვის 10 რიცხვამდე მხარეები ადგენენ საოქმო გადაწყვეტილებას, რომელშიც ფიქსირდება მხარეების მიერ მიწოდებული მომსახურების მოცულობა, ტარიფი, საერთო ღირებულება და სალდო;
 - 5.5 მხარეებს შორის ანგარიშსწორება წარმოებს ყოველთვიურად. ანგარიშსწორების საფუძველს წარმოადგენს მხარეებს შორის შეთანხმებული საოქმო გადაწყვეტილება მომსახურების მიწოდების შესახებ;
 - 5.6 მხარეები უფლებამოსილნი არიან განახორციელონ ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა;
 - 5.7 მხარეები ვალდებული არიან ერთმანეთს შორის შეთანხმონ საოქმო გადაწყვეტილებები მომსახურების მიწოდების შესახებ, ხოლო ანგარიშსწორება აწარმოონ საოქმო გადაწყვეტილების შეთანხმებიდან 15 დღის განმავლობაში;
 - 5.8 რომელიმე მხარის მიერ დადგენილ ვადაში მომსახურების ღირებულების დროულად გადაუხდელობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებას იტოვებს დააკისროს დამრღვევ მხარეს პირგასამტეხლო გადასახდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 1 (ერთი) წლის განმავლობაში. თუ მხარეები ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე 14 (თოთხმეტი) სამუშაო დღით ადრე მაინც ერთმანეთის მიმართ წერილობით არ გამოავლენენ ნებას, რომ არ სურთ ამ ხელშეკრულების მოქმედების გაგრძელება, ამ ხელშეკრულების მოქმედება გრძელდება ყოველი შემდგომი ერთწლიანი პერიოდით.

7. ხელშეკრულების შეწყვეტა

წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე შეწყდეს რომელიმე მხარის მიერ შემდეგ შემთხვევებში:

- მხარეთა შეთანხმებით;
- თუ რომელიმე მხარე სისტემატურად არღვევს ან არაჯეროვნად ასრულებს ამ ხელშეკრულების პირობებს და ამგვარი დარღვევა არ აღმოიფხვრება წერილობითი შეტყობინებიდან 2 (ორი) კვირის განმავლობაში;
- ერთ-ერთი მხარის ლიკვიდაციისას;
- თუ რომელიმე მხარის მიმართ დაიწყება გადახდისუნარობის საქმის წარმოება; საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში.

8. ფორსმაჟორი

მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის ან არაჯეროვანი შესრულებისთვის, თუ აღნიშნული შეუსრულებლობა/არაჯეროვანი შესრულება გამოწვეული იყო დაუძლეველი ძალით/გარემოებებით, რომელთა დადგომისას/არსებობისას მხარე, მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, მოკლებული იყო შესაძლებლობას შეესრულებინა/ჯეროვნად შეესრულებინა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები (შემდგომში “**ფორს-მაჟორი**“). თითოეული მხარე ვალდებულია ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შესახებ დაუყოვნებლივ, მაგრამ ასეთი გარემოების დადგომიდან არაუგვიანეს 24 (ოცდაოთხი) საათისა, აცნობოს მეორე მხარეს. ამ ვადის გასვლის შემდეგ, მხარე კარგავს უფლებას დაეყრდნოს ფორს-მაჟორული გარემოებებს, როგორც სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის საფუძველს. ფორს-მაჟორულ გარემოებებს განეკუთვნება (მაგრამ არ შემოიფარგლება): ყველა სახის სტიქიური უბედურება-მიწისძვრა, წყლადიდობა, ქარიშხალი, ქარბუქი, დიდთოვლობა და სხვა, ეპიდემია, პანდემია, სამოქალაქო არეულობა, აჯანყება, გაფიცვა, საბოტაჟი, ბლოკადა, საომარი მოქმედება, სამოქალაქო ომი, ომი, საჰაერო საგნის ზემოქმედება, საქართველოს კანონმდებლობაში მომხდარი ცვლილებები, კომპანიის ავარიული სიტუაცია, თუ ეს ავარიული სიტუაცია შეიქმნა კომპანიისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო და სხვა (მესამე პირის ბრალეული ქმედება და სხვა).

9. სხვადასხვა დებულებები

- 9.1 ხელშეკრულება ძალაში შედის 2009 წლის 01 აგვისტოდან;
- 9.2 ყველა უთანხმოება და დავა, რაც შეიძლება წარმოიშვას წინამდებარე ხელშეკრულებიდან, მხარეთა შორის გადაწყდება ურთიერთშეთანხმებით.
- 9.3 იმ შემთხვევაში, თუ მხარეთა შორის დავა ვერ გადაწყდება ურთიერთშეთანხმებით, მხარეები დავის გადასაწყვეტად მიმართავენ საქართველოს სასამართლოს.
- 9.4 ყველანაირი ცვლილება და/ან დამატება მხარეთა შორის უნდა გაფორმდეს წერილობით.
- 9.5 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 3 (სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, მხარეთათვის თითო ეგზემპლარი, ხოლო მესამე ეგზემპლარი წარდგენილ იქნება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში.

10. მხარეთა რეკვიზიტები

შპს “კავკასიის ციფრული ქსელი”

მის: ირ. აბაშიძის #14, თბილისი, 0179,
საქართველო
ტელ: 55 00 55,
ფაქსი: 29 25 66
საბანკო რეკვიზიტები:
საქართველოს ბანკის ცენტრალური
ფილიალი,
ბანკის კოდი 220 101 502,
ა/ა 030467134
ს/კ 202943182

შპს “კავკასიის ციფრული ქსელი”

დავით თუთბერიძე
დირექტორი